



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ”

(განაცხადი № 12979/04)

განჩინება

სტრასბურგი

2007 წლის 5 ივნისი

საბოლოო ბახდა: 05/09/2007

წინამდებარე განჩინება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადახინჯვას

საქმეში: გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ქ-ნი ფ. ტუ ლკენსი, თავმჯდომარე

ბ-ნი ა.ბ. ბაკა

ბ-ნი ი. კაბრალ ბარეტო

ბ-ნი რ. ტურმენი

ბ-ნი მ. უგრეხელიძე

ქ-ნი ა. მულარონი

ქ-ნი დ. ჯოშიენე, მოსამართლეები

და *ქ-ნი ს. დოლე*, სექციის რეგისტრატორი

2007 წლის 15 მაისს კონფიდენციალურად იმსჯელა საქმეზე და ამავე დღეს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება :

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი (№12979/04) საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ. განაცხადი შემოტანილია სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე ქ-ნ გორელიშვილის მიერ, საქართველოს მოქალაქე, 2004 წლის 10 მარტს.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბ-ნი ლ. ჭავჭავაძე საქართველოში მომუშავე ადვოკატი. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი მ. კეკელიძე (იუსტიციის სამინისტრო).

3. 2006 წლის 8 მარტს, სასამართლომ გადაწყვიტა, ეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის იმ სარჩელის თაობაზე, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის, როგორც ჟურნალისტის, გამოხატვის თავისუფლების დარღვევის ფაქტს, რაც კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად დარღვევას წარმოადგენს. კონვენციის 29§3 მუხლის თანახმად მიღებულია გადაწყვეტილება განაცხადის არსებითი განხილვისა და ამავე დროს, მის დასაშვებობაზე მსჯელობის თაობაზე.

4. განმცხადებელმა და მთავრობამ წარმოადინეს საკუთარი მოსაზრებანი სარჩელის დასაშვებობასა და მის არსებით მხარეზე (სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 54ა).

ფაქტები

საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1969 წელს და ცხოვრობს ქ. თბილისში. განაცხადის შემოტანის დროს, იგი ჟურნალისტი იყო.

6. 2000 წლის ივლისში, განმცხადებელმა გამოაქვეყნა სტატია გაზეთში „მერიდიანი 44“ (№75 (579) 2000 წლის 5-7 ივლისი). სტატია, სახელწოდებით „ორმაგი“ სამინისტროს მინისტრმა არ იცის, სად და რამდენი აქვს შენახული“, წარმოადგენდა რეგულარული რუბრიკის გაგრძელებას; რუბრიკა აცნობს მკითხველს სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურების ფინანსურ მდგომარეობას ქონებრივ დეკლარაციაში მოყვანილი მონაცემების მიხედვით. რუბრიკის თემა საჯარო სამსახურში არსებულ კორუფციას ეხებოდა.

7. სტატიაში, სხვა პოლიტიკოსებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის, იყო გაკრიტიკებული ბ-ი გივი ლომინაძე, იმ დროისათვის პარლამენტის წევრი. მას აკრიტიკებდნენ მის მიერ დეკლარირებული ქონების გამო.

8. სტატია იწყებოდა გაზეთის პირველ გვერდზე, სადაც აგრეთვე იყო მოთავსებული პარლამენტარის საზაფხულო აგარაკის შავ-თეთრი ფოტო (12x11). სურათის ქვეშ გაკეთებული იყო შემდეგი სახის წარწერა : „აფხაზეთიდან დევნილისა და პარლამენტის წევრის, გივი ლომინაძის სახლი არ გამოიყურება მოკრძალებულად. მერე რა? ქართველები, რომელთაც მოუწიათ აფხაზეთის დატოვება, იმსახურებენ სადმე მაინც ჰაერის ჩასუნთქვას...“

9. სტატიაში განმცხადებელმა მოიყვანა გრიგოლ რობაქიძის, მე-20 საუკუნის მწერლის, სიტყვები : „მთავრობა საკრამენ ტალური ფენომენია ; აქ არ აქვს ადვილი არამზადობას“. შემდეგ ჟურნალისტი ამბობს: „ხალხსა და მთავრობას შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპი - სამართლიანობა - დღეს დარღვეულია; ჩვენ ვემორჩილებით თვითნებობას... მოდით გადავხედოთ თვითნებობაში მხილული ოფიციალურ რი პირების ფინანსურ მდგომარეობას“.

10. სტატიის გაგრძელება, სადაც აღწერილია ბ-ნ ლომინაძის ქონება ბოლო ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მოთავსებული იყო გაზეთის მე-5 გვერდზე :

„... თუ ბ -ნი ბ. საკუთარი ვაჟით ამაყობს, ბატონი გივი ლომინაძე - საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს ხელმძღვანელი (თუმცა, შესაძლოა, მან დატოვოს ეს თანამდებობა) ამაყობს სიძით, ბ -ნით პ., რომელიც პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობს (ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მასზე გაზეთის წინა ნომერში). სავარაუდოდ, სიძე დაეხმარა სიმამრს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა 25-35 ათას ლარად (11.500 - 16.170 ევრო)¹ ღირებული საზაფხულო აგარაკის (რომელიც, ფაქტობრივად, სასახლეს ჰგავს) მშენებლობის დასრულებას მდინარე არაგვის სანაპიროზე სოფელ წითელსოფელში. თქვენთვის ცნობილია, რამდენად ძნელია აფხაზეთიდან დევნილთა ყოველდღიური ცხოვრება და, როგორც ჩანს, ზღვას მონატრებულთ,

¹ აქ და შემდგომში, მოყვანილია ლარის ევროსთან მიმართებაში გაცვლის დაახლოებითი კურსი საქართველოს კურსის მიხედვით, რომელიც დადგენილი იყო 2007 წლის 14 თებერვლისათვის.

მათ სურთ წყალთან უფრო ახლოს ყოფნა - არაგვი, უდავოდ, არაჩვეულებრივი მდინარეა.

აგრეთვე, ბატონმა ლომინაძემ მოახერხა ბინის შეძენაც თბილისში, რომლის ღირებულებაც 40-45 ათას ლარს (18.500 – 20.800 ევრო) შეადგენს (ბატონი ლომინაძე ყველგან მიუთითებს ასეთ მიახლოებულ, „ორმაგ“ ფასებს). ხოლო, წითელსოფელში მდებარე საზაფხულო აგარაკის ფასის გათვალისწინებით, თბილისის ბინა ნამდვილად გრანდიოზულ კონსტრუქციას უნდა წარმოადგენდეს. ან, შეიძლება, ბატონი ლომინაძე შეცდა და „ვერ მოახერხა“ საზაფხულო აგარაკის ფასის „სწორად“ დაანგარიშება?! უძრავი ქონების ჩამონათვალში, ბ-ნი ლომინაძე აგრეთვე აღნიშნავს სენაკის სახლს, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო და რომელიც 20 ათას ლარად (4.640 ევრო) არის შეფასებული. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს, პარლამენტარის ერთადერთ შემოსავალს ხელფასი წარმოადგენდა (რომელიც სულ 6.300 ლარს, ანუ 2.900 ევროს, უდრის), მისი დანაზოვი 7.000 ლარს (3.200 ევრო) შეადგენს. შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ ლომინაძე და მისნაირი ადამიანები მხოლოდ პაერთ ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უწევთ; სხვაგვარად, როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა?!”

11. ბატონმა ლომინაძემ სასამართლოს მიმართა და შეიტანა სარჩელი ჟურნალისტისა და გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ დიფამაციის (ცილისწამების) გამო. იგი აცხადებდა, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. ისინი პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ მან შეიძინა საზაფხულო აგარაკი და თბილისის ბინა 1993 წელს პარლამენტის წევრად არჩევის შემდეგ, თუმცა სინამდვილეში, მისი ქონების უმეტესობა 1970-80-იან წლებშია შეძენილი.

12. 2002 წლის 23 იანვარს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მისი სარჩელი და დაავალა მოპასუხეებს უარყოფის გამოქვეყნება, სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ წინა პუბლიკაცია წარმოადგენდა ფაქტების ზედაპირულად შესწავლის შედეგს და გამოხატავდა ჟურნალისტის სუბიექტურ აზრს. აგრეთვე, სასამართლომ დააკისრა თითოეულ მოპასუხეს, გადაუხადოს მოსარჩელეს 100 ლარი (46 ევრო) არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით და 500 ლარი (230 ევრო) გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად.

13. თავის დასაბუთებაში, რაიონულმა სასამართლომ სცნო, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები პარლამენტარის ქონების თაობაზე სწორი იყო, ვინაიდან აღებულია წარდგენილი ქონებრივი დეკლარაციიდან და მათი სისწორე მოსარჩელეს არასოდეს არ გაუსაჩივრებია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიის სტრუქტურა, ეპითეტები და მხატვრული გამონათქვამები სარკასტული ხასიათისაა და დამაცირებელია, რის გამოც პარლამენტარის მიმართ მკითხველს მხოლოდ უარყოფითი ემოცია გაუჩნდებოდა. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის აზრი, რომ სტატიაში იგულიესხმებოდა, რომ მის მიერ დეკლარირებული აქტივები (ქონება) არაღებულად წარმოშობის იყო. ვინაიდან განმცხადებელმა ვერ შეასრულა სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლის მოთხოვნა მტკიცების ტვირთის შესახებ და არ დაამტკიცა, რომ მას არ ჰქონდა განზრახული ბ-ნ ლომინაძის კორუფციაში დადანაშაულება, სასამართლომ მას დიფამაციაში (ცილისწამებაში) დასდო ბრალი.

14. 2003 წლის 19 თებერვალს თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ გააუქმა და შეცვალა 2002 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება. სასამართლომ დაასკვნა, რომ ჟურნალისტის კრიტიკა გამიზნული იყო პარლამენტარის ცხოვრების კერძო და არა პოლიტიკურ სფეროზე. მან დაასკვნა, რომ განმცხადებელმა ვერ შესძლო ისეთი გამონათქვამების დამტკიცება, როგორცაა „*სიძე დაეხმარა სიმამრს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შესძლებდა ... საზაფხულო აგარაკის მშენებლობის დასრულებას ...*“ და „*შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ ლომინაძე და მისნაირი ადამიანები მხოლოდ ჰაერით ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უწყევთ; სხვაგვარად, როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა ?!*“

15. საოლქო სასამართლომ დაავალა ჟურნალისტსა და რედაქტორს, უარყოთ ეს გამონათქვამები, ვინაიდან ისინი არ შეესაბამება სიმართლეს, და ერთობლივად გადაიხადონ 100 ლარი არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. სააპელაციო პალატის თავმჯდომარემ გამოხატა განსხვავებული აზრი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით.

16. განმცხადებლის საკასაციო სარჩელის შეტანის შემდეგ, 2003 წლის 12 სექტემბერს, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ხსენებულ საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება გამოიტანა.

17. უზენაესმა სასამართლომ სცნო, რომ პოლიტიკურ ფიგურებთან მიმართებაში კრიტიციზმი უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე სხვა პირებთან მიმართებაში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მან (ჟურნალისტმა) ვერ დაამტკიცა გამოთქმული მოსაზრებების სიმართლე იმის თაობაზე, რომ დავის საგნად ქცეული ქონება წარმოიშვა პარლამენტარის პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში 1990-იან წლებში, სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, დაადგინა, რომ განმცხადებლის კრიტიკა დაუსაბუთებელია, და, ამდენად, ცილისმწამებლურია. სასამართლომ აღნიშნა, რომ მან (ჟურნალისტმა) ირიბად უწოდა პარლამენტარს „არამზადა“ და გაუმართლებლად დაადანაშაულა იგი „თვითნებობაში“.

18. შემდეგ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „*საზოგადოების წინაშე ჟურნალისტებზე დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობის გამო, მათი თითოეული მოსაზრება და გამონათქვამი უნდა ეფუძნებოდეს სათანადოდ მოძიებულ და შემოწმებულ ფაქტებს და არა დაუსაბუთებელ ვარაუდებს*“, როგორც კონკრეტული განმცხადებლის საქმეში. სასამართლომ დაადგინა, რომ პარლამენტარზე სტატიის დაწერისას, განმცხადებელმა დაუდევრობა გამოიჩინა.

19. უზენაესმა სასამართლომ დაავალა განმცხადებელსა და გაზეთის რედაქტორს ერთობლივად 100 ლარის (46 ევრო) გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთან, განმცხადებელს დაევალა უარყოფის გამოქვეყნება, სადაც უარყოფილი უნდა იქნას განსაკუთრებით ორიგამონათქვამი: „*სიძე დაეხმარა სიმამრს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შესძლებდა ... საზაფხულო აგარაკის მშენებლობის დასრულებას ...*“ და „*შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ ლომინაძე და მისნაირი ადამიანები მხოლოდ ჰაერით ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უწყევთ; სხვაგვარად,*

როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა?!“ - როგორც გამონათქვამები , რომლებიც სიმართლეს არ შეესაბამება.

20. განმცხადებლის თანახმად, მას აცნობეს 2003 წლის 12 სექტემბერს გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ დადგენილი ვადების დარღვევით, ხოლო საბუთს არ ჰქონდა უზენაესი სასამართლოს კანცელარიის ბეჭედი.

ბ. შესაბამისი ეროვნული სამართალი

21. კონსტიტუცია

კონსტიტუციის 24-ე მუხლით გარანტირებულია სიტყვისა და მასმედიის თავისუფლება.

22. იმ დროისთვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 18 ადგენს, რომ პირს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს თხოვნით ისეთი ცნობების უარყოფის თაობაზე, რომელიც ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან პროფესიულ რეპუტაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი, რომელმაც გაავრცელა ასეთი ინფორმაცია (ცნობები), ამტკიცებს ასეთი ინფორმაციის სიმართლეს.

დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს იმ მატერიალური ან არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მსგავსი ინფორმაციის (ცნობების) გავრცელების გამო.

23. იმ დროისთვის მოქმედი, 1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებული კანონი საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესტთა შეუთავსებლობის შესახებ.

პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ კანონი მიზნად ისახავს კორუფციასთან ბრძოლას საჯარო სამსახურში.

მე-14 ნაწილის თანახმად, სახე ლმწიფო მოხელე (თანამდებობის პირი) ვალდებულია, შეავსოს ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია თანამდებობის დაკავებიდან ერთი თვის ვადაში. დეკლარაციები წარსადგენია რეგულარულად (წელიწადში ერთხელ), როგორც თანამდებობაზე ყოფნისას, ისე თანამდებობის დატოვების/გათავისუფლების შემდგომ.

მე-15 და მე-16 ნაწილების თანახმად, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის მიზანია სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება ყველა სახელმწიფო მოხელის უძრავი თუ მოძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების, ანაზღაურებადი თუ საკონტრაქტო სამუშაოს შესრულების, საჩუქრებისა და სხვა, 1500 ლარზე (693 ევრო) მეტის, შემოსავლის შესახებ.

17.1 ნაწილის თანახმად, თუ დეკლარირებული ქონების ღირებულების დადგენა შეუძლებელია საექსპერტო შეფასების გარეშე, უნდა იქნას

მითითებული სავარაუდო ღირებულება. ნაწილი 19.1 ადგენს, რომ თანამდებობის პირის დეკლარაცია ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს, გარდა მასში დაცული კონფიდენციალური ნაწილებისა.

24. კანონი პრესისა და მედიის შესახებ; მიღებულია 1991 წლის 10 აგვისტოს; ძალაშია იმ დროისათვის

24.2 მუხლის თანახმად, ჟურნალისტი ვალდებული და პასუხისმგებელია, ინფორმაციის გამოქვეყნებამდე გადაამოწმოს მისი სისწორე.

სამართალი

1. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

25. თავის სარჩელში განმცხადებელი აღნიშნავს, რომ დიფამაციის თაობაზე სასამართლო განხილვამ უსამართლოდ შეზღუდა ჟურნალისტის თავისუფლება, რაც კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. მუხლში ნათქვამია შემდეგი :

„1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გააერცულოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ...

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში... სხვა ადამიანების რეპუტაციის ან უფლებებ ის დაცვის მიზნით ...“

ა. დასაშვებობა

26. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელი არ არის დაუსაბუთოებელი კონვენციის 35.3 მუხლის კონტექსტში. ასევე, სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დაუშვებლად სხვა საფუძვლებითა და მიზეზით. ამდენად, იგი დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული.

ბ. სარჩელის შინაარსი

1. მხარეთა არგუმენტები

27. მთავრობამ არ უარყო ის ფაქტი, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში. მიუხედავად ამისა, მან განაცხადა, რომ განმცხადებელი როგორც ჟურნალისტი, „კეთილსინდისიერად“

არ მოქმედებდა. ვინაიდან დეკლარაციაში არ იყო მითითებული, როგორ და როდის იყო შექმნილი დავის საგნად ქცეული ქონება, განმცხადებელს, პრესისა და მედიის შესახებ კანონის 24.2 მუხლის შესაბამისად, უფრო ღრმად უნდა შეესწავლა საკითხი, ვიდრე არაგონივრულად იგულისხმებდა სტატიაში, რომ მოსარჩელემ შეიძინა საზაფხულო აგარაკი და თბილისის ბინა კორუფციული გზით პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში. აგრეთვე, მთავრობამ განაცხადა, რომ გაზეთის რუბრიკის მიზნის საპირისპიროდ, განმცხადებლის მიზანი არ იყო საჯარო დებატების წამოწყება (აგორება), არამედ იგი ბ-ნი ლომინაძის რეპუტაციის შელახვას ისახავდა მიზნად.

28. მთავრობამ წარმოადგინა პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაციის ასლი. მასში ჩამოთვლილია იგივე ქონება და ნაჩვენებია იგივე ღირებულება, რომელიც მითითებულია განმცხადებლის სტატიაში. გარდა „ორმაგი“ ფასებისა, რომელიც გააკრიტიკა განმცხადებელმა, დეკლარაცია არ შეიცავდა რაიმე სხვა დეტალებს ქონების შეძენის თარიღისა თუ წარმომავლობის შესახებ.

29. აგრეთვე, მთავრობამ აღნიშნა, რომ სტატია დაიბეჭდა იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში არ მიმდინარეობდა რაიმე სახის საჯარო დებატები (განხილვა). შესაბამისად, ვინაიდან ჟურნალისტი დარწმუნებული იყო, რომ მისი პუბლიკაცია არ დაკარგავდა ახალი ამბის ღირებულებას, განმცხადებელს გააჩნდა საკმარისი დრო საკითხის სათანადოდ შესწავლისათვის. და ბოლოს, მთავრობამ განაცხადა, რომ ის მცირე ჯარშია, რომელიც დაეკისრა განმცხადებელს უზენაესი სასამართლოს მიერ არ იყო არაპროპორციული და არ წარმოადგენს კონვენციის 10.2 მუხლის დარღვევას.

30. განმცხადებელი არ დაეთანხმა ზემოხსენებულ არგუმენტებს და კვლავაც მიიჩნევს, რომ მას გააჩნდა პარლამენტარის გაკრიტიკების უფლება, ვინაიდან პარლამენტარმა მოახდინა ქონების არასათანადოდ დეკლარირება. მეტიც, მისი სტატიის ობიექტია ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში წარმოადგენდა დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობის საკანონმდებლო ხელისუფლებას. იმის გამო, რომ სეპარატისტულ რეგიონთან დაკავშირებ ღი საკითხი პოლიტიკურად განსაკუთრებით დელიკატურია, არ შეიძლება ითქვას, რომ მის პუბლიკაციას არ ექნებოდა ახალი ამბის მნიშვნელობა. აღნიშნული პოლიტიკოსი, როგორც საჯარო პირი, ვალდებული იყო, გამოეჩინა მეტი ტოლერანტობა ჟურნალისტის კრიტიკის მიმართ.

2. სასამართლოს შეფასება

31. მხარეები არ დავობენ, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ 2003 წლის 12 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება აღდგენს განმცხადებლის კონვენციის 10.1 მუხლით გარანტირებულ უფლებაში „ჩარევი ს“ ფაქტს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩარევა იყო განპირობებული და დადგენილი კანონით - სამოქალაქო კოდექსის მუხლი 18 - და კანონიერ მიზანს ისახავდა: სხვა ადამიანების უფლებისა თუ რეპუტაციის დაცვას. შესაბამისად, სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, საჭირო იყო თუ არა ამგვარი ჩარევა „დემოკრატიული საზოგადოების“ პირობებში.

32. ზოგადი პრინციპის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის „საჭიროება“ (აუცილებლობა) უნდა იყოს სათანადოდ განსაზღვრული. პირველ რიგში, ეს ქვეყნის ხელისუფალთა ვალდებულებაა, შეაფასონ არსებობს თუ არა შეზღუდვის „სოციალური აუცილებლობა“ და მსგავსი შეფასების გაკეთებისას, უნდა იყენებდნენ დისკრეციის გარკვეულ ზღვარს. თუმცა, როდესაც საქმე მედიას ეხება, დისკრეციის ეროვნული ზღვარი განპირობებულია დემოკრატიული საზოგადოების ინტერესით, უზრუნველყოს და შეინარჩუნოს თავისუფალი პრესა. ანალოგიურად, ასეთმა ინტერესმა უნდა გადაწონოს იმის განსაზღვრისას (როგორც ეს მითითებულია კონვენციის 10.2 მუხლში), რამდენად პროპორციული იყო შეზღუდვა კანონიერი მიზნისა (იხ. *Fressoz and Roire v. France* [GC] no. 29183/95, 45, ECHR 1999-1).

33. სახელდამხედველო ფუნქციის განხორციელებას, სასამართლო არ ცდილობს ჩაენაცვლოს ქვეყნის ხელისუფლებას, არამედ მიზნად ისახავს, განიხილოს კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში ის გადაწყვეტილებები, რომელიც მიღებულია დისკრეციის დონის მიხედვით. სასამართლომ უნდა იმსჯელოს მთლიანად საქმეზე სარჩელში მითითებული „ჩარევის“ ფაქტის მიხედვით და განსაზღვროს იყო თუ არა ქვეყნის ხელისუფლების მიერ მოყვანილი დასაბუთება „სათანადო და საკმარისი“ და, აგრეთვე, დაადგინოს, იყო თუ არა მისი გადაწყვეტილება მიღებული შესაბამისი ფაქტების სათანადო შეფასების საფუძველზე (იხ. *Grinberg v. Russia*, no 23472/03, 2627, 21 July 2005; *Vogel v. German*, judgement of 26 September 1995, Series A no.323 pp. 25-26, §52). ასევე, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ელემენტები: მხარეთა დამოკიდებულება სასამართლო პროცეს თან დეფამაც იის თაობაზე ე , დავის საგნად ქცეული პუბლიკაცია და გასაჩივრებული ქვეყნის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (იხ . *Jerusalem v. Austria*, # 26958/95, § 35, 2001-II).

34. რაც შეეხება განმცხადებლის, როგორც ჟურნალისტის დამოკიდებულებას, სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ პრესა არ უნდა გასცდეს გარკვეულ ფარგლებს, მისი ვალია გადასცეს - ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად - ინფორმაცია და მოსაზრებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საჯარო ინტერესს წარმოადგენს (იხ. *De Haes and Gijssels v. Belgium*, judgment of 24 February 1997, Report of Judgement and Decision 1997-I, § 37; *BBladet Tromso and Stensaas v. Norway* # 21980/93, §59, ECHR 1999-III). მეტიც, ჟურნალისტის თავისუფლება მოიცავს სასამართლოსადმი შესაძლო მიმართვას გაზვიადების დონის ან პროვოკაციის თაობაზე (იხ. *Prager and Oberschlick* (#1), judgment of 26 April 1995, Series A, # 313, § 38).

35. რაც შეეხება ბატონ ლომინაძეს, სასამართლო მიუთითებს, რომ იმ დროისათვის იგი აფხაზეთიდან დევნილი პარლამენტარი იყო. უნდა გავიხსენოთ, რომ მისაღები კრიტიკის საზღვრები უფრო ფართოა პოლიტიკოსთან მიმართებაში, ვიდრე კერძო პირთან მიმართებაში. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, წინა სტატუსი შეუქცევადად და გააზრებულად იწვევს ინტერესს საზოგადოებაში და ჟურნალისტებში მისი ფიგურის, თითოეული სიტყვისა და ქმედების მიმართ. ამდენად, ასეთი პირები უფრო ტოლერანტულები უნდა იყვნენ (იხ . *For example, Incal v. Turkey*, judgment of 9 June 1998, Report 1998-IV, pp. 1567, § 54).

36. გასაჩივრებული პუბლიკაციის თემას

ბატონ ლომინაძის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას წარმოადგენდა . განმცხადებელი ს მიერ გაკრიტიკებული დეკლარაციის არცერთი ნაწილი კონფიდენციალური არ იყო და მისი გამოქვეყნება არ იკრძალებოდა (cf, a contrario, Fressoz and Roire, cited above, §§ 52 and 53). უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის სტატიამ შეიტანა წვლილი რეგულარულ რუბრიკაში, რომელიც მკითხველთა აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურების მატერიალური კეთილდღეობის თაობაზე. ამ კონკრეტული პარლამენ ტარის შემთხვევაში, საკითხი უფრო დიდი ხდება მისი „აფხაზეთის პრობლემასთან“ ასოცირების გამო (§§ 8, 10 და 30; იხ. ზემოთ). აგრეთვე, იმ დროისათვის საჯარო სამსახურში კორუფციის პრობლემის გათვალისწინებით (§§ 6 და 9) - ფაქტი, რომელზეც მთავრობა არ დაეობს - სასამართლოს უდავოდ მიაჩნია, რომ განმცხადებლის თვითგამოხატვის თავისუფლება ის უფლება გამოყენებული იყოს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხის კონტექსტში (c.f, a contrario, Katamadze v. Georgia (dec), # 69857/01, 14 February 2006). შესაბამისად, ჩარევა პრესის თავისუფლების უფლების გამოყენებაში შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამართლებულია საჯარო ინტერესის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნით (Fressoz and Roire, cited above, § 51).

37. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წლის 12 სექტემბერს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ჩარევი ს მასშტაბი ვრცელდებოდა არა მთლიანად პუბლიკაციაზე, არამედ მასში მოყვანილ ორ ფრაზაზე: „*სიძე დაეხმარა სიმამრს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შესძლებდა ... საზაფხულო აგარაკის მშენებლობის დასრულებას ...*“ და „*შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ ლომინაძე და მისნაირი ადამიანები მხოლოდ ჰაერით ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უწევთ; სხვაგვარად, როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა ?!*“

38. აღნიშნული გამონათქვამები მიჩნეულია უზენაესი სასამართლოს მიერ როგორც ცილისმწამებლური, ვინაიდან, მისი აზრით, ისინი სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ამდენად, საკითხის შესწავლის გარეშე (წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული ფრაზები სუბიექტურ შეფასებას) (იხ. A contrario Katamadze, cited above) უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული გამონათქვამები წარმოადგენდა ფაქტის კონსტატაციას, ვინაიდან მხოლოდ უკანასკნელი მოითხოვს დამტკიცებას (იხ. Grinberg, cited above §30). სარჩელის შემოტანის დროისათვის ის, საქართველოს კანონი ცილისწამების შესახებ არ იძლეოდა სრული ანალიზის ჩატარების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კო დექსის მე-18 მუხლი არ გამოყოფს სუბიექტურ აზრისა და ფაქტის კონსტატაციის ცნებებს, და ადგენს მხოლოდ ერთ ცნებას „ცნობები“, და ითხოვს ასეთი ცნობების სისწორის დამტკიცებას; მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეს ეკისრება. სიტყვის შეფასების მსგავსი მიდგომა, სასამართლოს აზრით, შეუთავსებელია აზრის გამოთქმის თავისუფლების უფლებასთან, რაც კონვენციის მე-10 მუხლის ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს (იხ. Zakharov v. Russia, # 14881/03, §§ 29 and 30, 5 October 2006; Karman v. Russia # 29372/02, ## 42 da 43, 14 December 2006).

39. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამონათქვამები, რომელიც არ მოიწონა უზენაესმა სასამართლომ, წარმოადგენს მოსაზრებას, რომელიც წარმოთქმულია პროვოკაციულ ტონში, რადგანაც წარმოადგენს პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაციის სანდოობის სუბიექტურ შეფასებას. მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ საკმაოდ რთულია მტკიცე ბის ტვირთის თაობაზე მოთხოვნის შესრულება.

40. სასამართლოს მიერ სარკასტულად და ცინიკურად მიჩნეული განმცხადებლის ფრაზები მიზნად არ ისახავდა პირად თავდასხმას პარლამენტარზე (c.f. a contrario, *Katamadze v. Georgia* (dec) # 69857/01, 14 February 2006), ვინაიდან გამონათქვამები არ იყო მოკლებული ფაქტობრივ საფუძველს (*De Haes et Gijssels*, cited above, §47), ანუ ისინი ეყრდნობოდა პარლამენტარის მიერ დეკლარირებული ქონების ტიპსა და ღირებულებას, ხელფასს, მის ნათესაურ კავშირს პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელთან, და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმცხადებლის გასაჩივრებულ ფრაზებსა და საქმის გარემოებებს შორის არსებობს საკმაოდ მჭიდრო კავშირი (იხ. *Feldek v. Slovakia* no. 29032/95, § 86, ECHR 2001-VIII).

41. სასამართლო არ დაარწმუნა არგუმენტმა, რომ განმცხადებელი ვალდებული იყო გამოერკვია როდის და როგორ შეიძინა პარლამენტარმა აღნიშნული ქონება. იგი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, როგორც აღიარა მთავრობამ, ლომინაძის ქონების დეკლარაცია არ შეიცავდა მსგავს ინფორმაციას. ამასთან, სასამართლო აცხადებს, რომ განმცხადებლის სტატიაში ქონების ტიპი და ღირებულება აღწერილია სწორედ ისე, როგორც ეს მოცემულია პარლამენტარის დეკლარაციაში (იხილეთ იქვე, §28). შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ განმცხადებელმა განზრახ დაამახინჯა ან უგულებელყო საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია პარლამენტ არის ქონების წარმომავლობის თაობაზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მას, როგორც ჟურნალისტს, რომელსაც სამსჯავროზე გამოჰქონდა კანონიერი ინტერესის საკითხი, ჰქონდა ქონების დეკლარაციაზე - ოფიციალურ დოკუმენტზე-დაყრდნობის უფლება და არ საჭიროებდა დამოუკიდებელი შესწავლის ჩატარებას. შხვაგვარად, ზიანი მიადგებოდა საჯარო რევიზორის უმნიშვნელოვანეს როლს, რომელსაც ასრულებს პრესა დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხ. *Colombani and Others v. France* no. 51279/99, § 65, ECHR 2002-V).

42. ზემოთქმულის საფუძველზე, სასამართლო ასკვნის, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტები შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან, რადგანაც არ შეიცავს სათანადო და საკმარის მიზეზებს, რომელიც გაამართლებდა საჯარო ინტერესის საკითხებზე განმცხადებლის ინფორმაციისა და მოსაზრებების გადაცემის თავისუფლების უფლებაში ჩარევას. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

43. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის მუხლი 6§1 მუხლის დარღვევა

44. განმცხადებელი აცხადებს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი იმის გამო, რომ უზენაესმა სასამართლომ დროულად ვერ გადასცა მას 2003 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილების ასლი. იგი აცხადებს, რომ შედეგად, ევროსასამართლოში განაცხადის შეტანის ექსთენიანი ვადა თითქმის ამოწურული იყო. კონვენციის 6.1 მუხლი ადგენს:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას..., ყველას აქვს სამართლიანი... სასამართლო განხილვის უფლება...“

45. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები არ ადასტურებს კონვენციის აღნიშნული მუხლის დარღვევას ეროვნულ დონეზე გამართული სასამართლო პროცესების დროს (იხ. *Miailhe v. France*, judgment of 26 September 1996 (no. 2), Reports 1996-IV, p 1338, §43). განცხადების ეს ნაწილი, შესაბამისად უნდა იქნას უარყოფილი კონვენციის 35§§ 4-5 მუხლის თანახმად.

III. კონვენციის 41 მუხლის გამოყენება

46. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად,

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. ზიანი

47. განმცხადებელმა მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება 20.000 ევროს ოდენობით. ატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა არ გაკეთებულა.

48. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ხოლო თანხა ძალზე დიდი.

49. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელს მიადგა გარკვეული მორალური ზიანი, რაზეც დარღვევის დადგენა არ წარმოადგენს საკმარის კომპენსაციას. ობიექტური შეფასების მიზნით, ამ ნაწილში სასამართლო ანიჭებს განმცხადებელს 1.500 ევროს ოდენობის კომპენსაციას.

ბ. ხარჯები და დანახარჯები

50. აგრეთვე, განმცხადებელი ითხოვს 5.800 ევროს გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურებისათვის, თუმცა, მას არ წარმოუდგენია რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტი.

51. მთავრობა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული თანხა დაუსაბუთებელი და ძალზე დიდია.

52. სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებელმავერ წარმოადგინა გაწეული ხარჯების დეტალური აღწერილობა და რაიმე დამადასტურებელი საბუთი, თუმცა მას ეთხოვა ასეთი დოკუმენტების წარმოდგენა. ამდენად, განმცხადებელმა ვერ დააკმაყოფილა სასამართლოს რეგლამენტის 60§2 მუხლის მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, ამ ნაწილში, სასამართლო არ მიაკუთვნებს განმცხადებელს კომპენსაციას (იხ. Among many other authorities, Boulougouras v. Greece, no. 66294/01, § 34, 27 May 2004).

გ. საურავი

53. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად

1. კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს აცხადებს დასაშვებად, ხოლო განცხადების დანარჩენ ნაწილს დაუშვებლად;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;

3. ადგენს, რომ

ა) მოპასუხე სახელმწიფომ, განმცხადებელს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს 1.500 (ათას ხუთასი) ევრო მორალური ზიანისათვის, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

4. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2007 წლის 5 ივნისს, რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ს. დოღე
მდივანი

ფ. ტულკენსი
თავმჯდომარე